

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითი სხდომის
ოქმი №8

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N 65

14.07.2023 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგით სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე-**ალექსანდრე ლილუაშვილი**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიძე, შოთა გიორგაძე, დავით ხარძეიშვილი, გელა ღვიტიძე, გელა ჩიკვაძე, გელა ვარდოსანიძე, რამაზ არველაძე, კობა ტოხვაძე.

/დანართი: N1/

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ვლადიმერ ჭვალაძე, გრიგოლ მატარაძე.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -**ლუიზა ჯოგლიძე**.

სხდომას ასევე ესწრებოდა: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული სტუმრები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის შტატგარეშე მოსამსახურე - **გელა კაშია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ივანე მამფორია**.

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე**;

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი -**ვანდა გიორგაძე**.

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 ივნისის N16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს.: *ვლადიმერ ჭვალაძე*

2. „ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხს.: *გელა კაშია*

3. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის ივნისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ;

მომხს.: *გელა ჩიკვაიძე*

4. ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ავტომანქანა KIA OPTIMA-ს სახელმწიფო ნომრით WS374SW ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე (ს/კ 229658572) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.: *ზვიად კაპანაძე*

5. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, მშვიდობის გორაზე (ტყე-პარკი) მდებარე 57393 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 31.01.24.142) 16 კვმ და 25 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს.: *ზვიად კაპანაძე*

6. ვანის მუნიციპალიტეტის გორას ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გამირულად დაღუპული ილია გაბუნიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

მომხს.: *გელა ვარდოსანიძე*

7. ვანის მუნიციპალიტეტის საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საპრასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილსთვის თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს ცხინვალში გამირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე;

მომხს.: *გელა ვარდოსანიძე*

8. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშისა და სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხს.: *ივანე მამფორია*

9. ვანის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების 2023 წლის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის თაობაზე;

მომხს.: *ვანდა გიორგაძე*

10. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე;

მომხს.: *გიორგი ივანიაძე*

11. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ;

მომხს.: *ალექსანდრე ლილუაშვილი*

12. სხვადასხვა

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 ივნისის N16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დადგენილებაში შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

დადგენილების დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესები“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ქალაქ ვანის ტერიტორიაზე მდებარე ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე აკრძალულია წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლა/ყოფნა როგორც მეთვალყურეობის გარეშე, ასევე მეთვალყურეობის ქვეშ“.

დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მესამე პუნქტით დამტკიცებული „პასუხისმგებლობა ამ წესის დარღვევისათვის“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პირუტყვის მეთვალყურეობის გარეშე ყოფნისას, პირუტყვის სპეციალურ ადგილზე გადაყვანის და მისი მოვლა-პატრონობის, ასევე სპეციალურ ადგილზე გადაყვანისა და მოვლა-პატრონობის ხარჯების დაანგარიშება უნდა მოხდეს ზედამხედველობის სამსახურის მიერ, ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით, ხარჯის გამწევი სუბიექტის მიერ გონივრულობის ფარგლებში (ხარჯის გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე რეალური დასაბუთებით).“

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა კაშიამ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 იანვრის N67 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 19 ივნისს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა N16 დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესის დამტკიცების შესახებ“. ზემოაღნიშნული დადგენილების აღსრულება დაეკისრა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს. აქედან გამომდინარე აუცილებელია მერიის ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებში აისახოს ზემოაღნიშნული დადგენილების აღსრულების შესაძლებლობა. სწორედ ამას ემსახურება ჩვენ მიერ საკრებულოსთვის წარდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც ზედამხედველობის სამსახურის ფუნქციებში აისახება --- ზედამხედველობა ქალაქ ვანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის/ყოფნის წესების დაცვაზე.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების, გარდა პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2023 წლის ივნისის თვის ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 01 ივნისის N65-6523152001 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ივნისის თვეში საკრებულოს წევრ არათანამდებობის პირებს ხარჯების ანაზღაურებისთვის ჩაერიცხოთ თითოეულს 744 ლარი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ერთი ერთეული ავტომანქანა KIA OPTIMA-ს სახელმწიფო ნომრით WS374SW ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე (ს/კ 229658572) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, თხოვნების ფორმით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“;

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ეს მანქანა უსასყიდლოთ, სარგებლობის უფლებით, თხოვნის ფორმით გადაეცემა „საბავშვო ბაღების გაერთიანებას“, რაზეც გვჭირდება საკრებულოს წევრების თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, მშვიდობის ქუჩაზე (ტყე-პარკი) მდებარე 57393 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ. 31.01.24.142) 16 კვმ და 25 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“; მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაშიც აღნიშნული მიწის ელექტრონული აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, პირობით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემისთვის საჭიროა საკრებულოს თანხმობა.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გორას ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ გორაში არსებულ N1 ქუჩისთვის 2008 წლის 11 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს შინდისის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ილია გაბუნias სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“;

მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ განმარტა, რომ სახელდებასთან დაკავშირებით შემოსული ვარ განცხადებით, რომელიც ეხება გორას ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ გორაში N1 ქუჩას 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობისთვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული ილია გაბუნias სახელის მინიჭებას, წარმოდგენილი მაქვს დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გააცნო საკრებულოს წევრებს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეექვსე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ვარდოსანიძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ საპრასიაში არსებულ N5, N6 და N9 ქუჩის ნაწილისთვის თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“;

ამ შემთხვევაშიც მომხსენებელმა განმარტა, რომ სახელდებასთან დაკავშირებით შემოსულია განცხადება, რომელიც ეხება საპრასიის ადმინისტრაციულ ერთეულში, დამისამართებულ სოფელ საპრასიაში N5, N6, და N9 ქუჩის ნაწილს თავისი ჩიხებით 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს ცხინვალში გმირულად დაღუპული შოთა ხურციძის სახელის მინიჭებას, წარმოდგენილია დამადასტურებელი დოკუმენტები, რომელიც გააცნო საკრებულოს წევრებს.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის მეშვიდე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა „ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშისა და სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 22 დეკემბერს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს N 27 დადგენილებით. შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 11000,0 ათასი ლარით, გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 11300,0 ათასი ლარით, ხოლო ნაშთის ცვლილება 300,0 ათასი ლარით. პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში სამჯერ იქნა შეტანილი ცვლილებები და შემოსულობები დაზუსტდა 16683,2 ათასი ლარის, გადასახდელები 17954,8 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 1271,6 ათასი ლარის მოცულობით.

ასევე 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების წლიური გეგმა 16483,2 ათასი ლარით განისაზღვრა, ხოლო პერიოდის გეგმა 10464,0 ათასი ლარით. ბიუჯეტში მობილიზებულია 10131,3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 61,5% -ს და საანგარიშო პერიოდის გეგმის 96,8% -ს შეადგენს, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების წლიური გეგმა 12104,1 ათას ლარს, პერიოდის კი 6639,5 ათას ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 6272,1 ათასი ლარი, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 51,8% და საანგარიშო პერიოდის გეგმის 94,5%.

სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და ჩარიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია:

ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით, 2023 წლის ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდის განკარგვა ხორციელდება ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილი წესისა და ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე. სარეზერვო ფონდიდან 6 თვის განმავლობაში სხვადასხვა ღონისძიებისათვის 84,3 ათასი ლარი გამოიყო. საკასო შესრულებაც 84,3 ათას ლარს შეადგენს, საიდანაც 83,7 ათასი ლარი სოციალური უზრუნველყოფის მუხლით, ხოლო 0,6 ათასი ლარი სხვა ხარჯების მუხლით მიიმართა.

მოსმენილ ინფორმაციაზე ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-9 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის მიერ 2023 წლის პირველ ნახევარში განხორციელებული შესყიდვების შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა დამტკიცდა 2023 წლის 25 იანვარს ვანის მუნიციპალიტეტის მერის Nბ64.64230254 ბრძანებით

და განისაზღვრა 1099361 ლარით. 2023 წლის განმავლობაში გეგმაში შეტანილი ცვლილებების განხორციელების შედეგად 2023 წლის 01 ივლისის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ შეადგინა 7607969 ლარი. მათ შორის: საკუთარი სახსრებიდან შემოსულობები 1049229 ლარი.

2023 წლის განმავლობაში ვანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული იქნა 34 ელექტრონული ტენდერი.

აქედან: არ შედგა 4; უარყოფითი შედეგით დასრულდა 3; გამარჯვებული გამოვლენილი იქნა 27 შემთხვევაში, რის საფუძველზეც გზების, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე გაფორმდა ხელშეკრულებები ღირებულებით 4476985,00 ლარი.

კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით გაფორმდა 12 ხელშეკრულება ღირებულებით 504445,00 ლარი. მათ შორის: სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებაზე 408437,00 ლარი.

მოსმენილ ინფორმაციაზე ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-10 საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

განსახილველი და მისაღები ნორმატიული აქტების პროექტები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ
2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ
3. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილების განსაზღვრის და დგომა/გაჩერების წესების დადგენის შესახებ

მოსამენი და განსახილველი ანგარიშები:

1. ვანის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენა 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
2. ვანის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ
3. ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ მიერ 2022-2023 სასწავლო წლის შეჯამების ანგარიშის მოსმენა
4. ინფორმაციის მოსმენა ტურისტული სეზონისათვის მზაობის შესახებ
5. ინფორმაციის მოსმენა მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს წევრებმა დაატკიცეს საკრებულოს მესამე კვარტლის სამუშაო გეგმა.

დღის წესრიგის მე-11 საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ ალექსანდრე ლილუაშვილმა ბიუროს წევრებს წარუდგინა დასამტკიცებლად საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის სხდომის დღის წესრიგი.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კენჭი უყარეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

ბიუროს წევრებმა დაამტკიცეს 14 ივლისის საკრებულოს რიგითი სხდომის დღის წესრიგი.

„სხვდასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

საკითხების ამოწურვის შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგითმა სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე